№1355 2015 წლის 25 ივნისი ქ. თბილისი

„ქვეყნის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით სამთავრობო კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 ივლისის №790 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქვეყნის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით სამთავრობო კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 ივლისის №790 განკარგულება.

2. დაევალოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროებს, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №400 დადგენილებაში უზრუნველყონ შესაბამისი ცვლილებების განხორციელების ინიცირება, მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური გარემოებების გათვალისწინებით, არა უგვიანეს 2016 წლის 1 მაისისა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**